TO ASSESS SOME OF THE EVENTS THAT TOOK PLACE IN GEORGIA AFTER THE TRAGEDY OF APRIL 9, 1989

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომ საქართველოში მომხდარი ზოგიერთი მოვლენის შეფასებისათვის

ALEKSANDRE MOSIASHVILI
Doctor of History, Associate professor of
Iakob Gogebashvili Telavi state University, Telavi, Georgian
University St., № 1, 2200, Georgia,
+995599702969,
Aleqsandre.mosiashvili@yahoo.com
https://orcid.org/0000-0001-7846-6482

Abstract. Much is known to Georgian historiography about the tragic events that took place on April 9, 1989 on Rustaveli Avenue in front of the Government House in Tbilisi. Its subsequent events have also been studied and researched. But there are some questions to explore the rest of the issue to the end. Familiarity with certain bibliographic materials, observation and analysis allows them to re-think some issues and draw appropriate conclusions. It should be noted that after the incident, the leaders of the communist regime did not hesitate to cover up what was done and as if to prove their innocence. It should be noted that they are responsible for what happened and every attempt to blame someone else is doomed to failure from the very beginning. First, the Protest action, which began on April 4, was peaceful, and second, its end was announced on April 14, and there was no reason for its dissolution, even with such barbaric methods. That is why they did not believe in what happened and tried to blame the participants of the protest or the organizer of the protest action - the leaders of the National Movement. Then tried to give by force the poisonous substances used by their butchers for the citizens, or to launch them in various institutions in order to blame the use of these chemicals on the national forces and the Georgian people in general. When they realized that they could not achieve the goal and could not deceive people with provocations, then they resorted to another method. Began to organize provocations to provoke conflicts. Provocations were mainly organized in different regions of Georgia. Particular emphasis was placed on organizing bloody confrontations on ethnic grounds. The aim was to discredit the national liberation movement in such conditions, to get involved in the so-called ethnic conflicts in Georgia (as they later baptized themselves) and to use the situation to their advantage - to somehow preserve the Russian Empire and save it from the collapse that was inevitable.

Key words: April 9, Tragedy, Provocations, Kremlin, Antidote, National Movement.

ალექსანდრე მოსიაშვილი
ისტორიის დოქტორი,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1. 2200,
საქართველო, +995599702969, Aleqsandre.mosiashvili@yahoo.com,
https://orcid.org/0000-0001-7846-6482

აბსტრაქტი. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინა მიმდებარე ტერიტორიაზე 1989 წლის 9 აპრილს დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შესახებ ქართული ისტორიოგრაფიისათვის ბევრი რამ არის ცნობილი. შესწავლილი და გამოკვლეულია მისი შემდგომი მოვლენებიც. მაგრამ არსებობს გარკვეული კითხვები დარჩენილი საკითხის ბოლომდე შესასწავლად. გარკვეული ბიბლიოგრაფიული მასალების გაცნობა, მათზე დაკვირვება და ანალიზი იძლევა საშუალებას ზოგიერთი საკითხის კიდევ ერთხელ გასააზრებლად და სათანადო დასკვნების გამოსატანად. უნდა აღინიშნოს, რომ მომხდარის შემდეგ კომუნისტური რეჟიმის მესვეურნი აღარაფერს ერიდებოდნენ ჩადენილის დასაფარავად და თითქოსდა თავიანთი უდანაშაულობის დასამტკიცებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ მომხდარზე სწორედ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა და სხვაზე გადაბრალების თითოეული მცდელობა თავიდანვე განწირულია მარცხისთვის. ჯერ ერთი, აქცია რომელიც დაიწყო 4 აპრილს იყო მშვიდობიანი, მეორეც მისი დასრულება დაანონსებული იყო 14 აპრილს და არავითარი საფუძველი მისი დაშლის, თანაც ასეთი ბარბაროსული მეთოდებით არ არსებობდა. ამიტომაც იყო, რომ მომხდარს არ დასჯერდნენ და სცადეს აქციის მონაწილეების თუ მიტინგის ორგანიზატორი _ ეროვნული მოძრაობის ლიდერების დადანაშაულება. შემდეგ ცდილობდნენ თავიანთი ჯალათების მიერ გამოყენებული მომწამლავი ნივთიერებების მოქალაქეებისთვის შეჩეჩებას, ან სხვადასხვა დაწესებულებაში გაშვებას, რათა ამ ქიმიური საშუალებების მოხმარება გადაებრალებინათ ეროვნული ძალების და ზოგადად ქართველი ხალხისთვის. როდესაც მიხვდნენ, რომ ასე ვერ მიაღწევდნენ მიზანს და ვერ წამოაგებდნენ ხალხს პროვოკაციებზე, მაშინ სხვა ხერხს მიმართეს. დაიწყო პროვოკაციების მოწყობა კონფლიქტების გაღვივების მიზნით. პროვოკაციები ძირითადად ეწყობოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. განსაკუთრებით აქცენტი კეთდებოდა ეთნიკურ ნიადაგზე სისხლიანი დაპირისპირებების ორგანიზებისთვის. გათვლა იყო ასეთ პირობებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დისკრედიტაციაზე, საქართველოს ე. წ. ეთნოკონფლიქტებში (როგორც შემდგომში თვითონ ნათლავდნენ) ჩათრევაზე და შექმნილი მდგომარეობის მათთვის სასარგებლოდ გამოყენებაზე _ როგორმე შეენარჩუნებინათ რუსული იმპერია და გადაერჩინათ ის დაშლისაგან, რაც თავისთავად გარდაუვალი აღმოჩნდა.

საძიებო სიტყვები: 9 აპრილი, ტრაგედია, პროვოკაციები, კრემლი, ანტიდოტი, ეროვნული მოძრაობა.

შესავალი. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდანვე ე. წ. სსრ კავშირს, რაც რეალურად რუსეთის იმპერიის ერთგვარ მოდელს წარმოადგენდა, აშკარად ემჩნეოდა მძლავრი ეკონომიკური კრიზისის არსებობა. კრიზისის ფონზე ნელ-ნელა ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მისი მმართველები, მაგრამ უშედეგოდ. 80-იანი წლების შუა პერიოდში

სსრკ-ს პირველი პირი ხდება მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც ცდილობს რეფორმატორული პოლიტიკის გატარებით მდგომარეობის გამოსწორებას. მის მიერ ოფიციალურად დაშვებულ საჯაროობას, დემოკრატიზაციას, სიტყვის თავისუფლებას შედეგად მოჰყვა სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების დაწყება. 1988 წელს დაწყებული მოძრაობების გასანეიტრალებლად და საბჭოთა კავშირის დაშლისაგან გადასარჩენად კრემლმა მიმართა ერთგვარ ხრიკს და საბჭოთა კონსტიტუციიდან გადაწყვიტა სწორედ იმ მუხლის ამოღება, რომელიც სუვერენულ რესპუბლიკებს კავშირიდან თავისუფალი გასვლის შანსს უტოვებდა. ამას მოჰყვა მძლავრი პროტესტი სხვადასხვა რესპუბლიკების ეროვნული ძალების მხრიდან. იმჯერად, რადგან საქმე ეხებოდა კონსტიტუციურ ცვლილებებს, კრემლის მესვეურებმა უკან დაიხიეს, აღადგინეს კვლავ ხსენებული მუხლი და სანაცვლოდ ძალისმიერი მეთოდებით დაგეგმეს დაწყებული მოძრაობების დათრგუნვა-ჩახშობა.

მეთოდი. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: პრესაში გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალების მოძიება, საკითხთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიის გაცნობა, ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, აღწერა, პრობლემის დანახვა, მსჯელობა, კრიტიკული და ლოგიკური ანალიზი.

შედეგები. 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ ყველას დაანახა საბჭოთა კავშირში დაწყებული დემოკრატიზაციის პროცესის სიყალბე. რუსული საბჭოთა იმპერიის მმართველთა მიზანს წარმოადგენდა მოდერნიზებული იმპერიის არსებობის გახანგრძლივება. მათი ქმედების ხასიათში სულ უფრო ნათლად ჩანდა, რომ პოზიციებს თავისი ნებით არ დათმობდნენ და თავიანთ ხელში არსებულ ყველა საშუალებას გამოიყენებდნენ სიტუაციის სამართავად.

როგორც ირკვევა კრემლის ამოცანას წარმოადგენდა აგრეთვე 9 აპრილის ტრაგედიის გადაფარვაც სხვა ტრაგიკული მოვლენების პროვოცირებით. მაგრამ ეროვნული იდეის გარშემო კონსოლიდირებულმა ქართველმა ხალხმა და ეროვნული მოძრაობის ლიდერთა ნაწილის მიერ მიღებულმა კეთილგონივრულმა გადაწყვეტილებებმა საქართველოს ასეთ რთულ პირობებშიც კი მისცა შანსი ნანატრი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა, რაც ნიშნავდა კომუნისტური რეჟიმის საბოლოო მარცხს და საბჭოთა კავშირის რღვევის გარდუვალობას. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა კონფლიქტების გაღვივების პროვოცირებით კრემლი ცდილობდა დაწყებული ეროვნული საქმისთვის ხელის შეშლას, თუმცა უშედეგოდ. 9 აპრილს დაღვრილმა სისხლმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ორიოდე წლის თავზე დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებას.

დისკუსია. ქართული ისტორიოგრაფიისათვის ბევრი რამ არის ცნობილი, როგორც უშუალოდ 1989 წლის 4-9 აპრილს საქართველოს დედაქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენების, ასევე მის შემდგომდროინდელი პროცესების ირგვლივ. ერთი რამ უნდა ითქვას, რომ 1989 წელი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის ერთგვარ გამოცდასაც წარმოადგენდა და ამავე დროს, სრული დატვირთვითაც იყო ამოქმედებული კრემლის სადამსჯელო სისტემა (გოცირიძე, 1990:10-14) სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ მიმავალი ქართველი ხალხის მისწრაფების წინააღმდეგ.

პირველ რიგში საჭიროა დადგინდეს უშუალოდ 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის შემდგომ პირსისხლიანი კომუნისტური რეჟიმის მიერ დაგეგმილი პროვოკაციების ხასიათი, მიზნები და ამოცანები. ასევე უნდა ითქვას, რომ ერთი სამეცნიერო ნაშრომი ნამდვილად ვერ დაიტევს იმ ფაქტების ჩამონათვალს, რომლებიც

მრავლად მოხდა ტრაგედიის შემდგომ პერიოდში.

ჯერ შევეხოთ უშუალოდ მომხდარი ტრაგედიის საკითხს. როგორც ცნობილია, თბილისში, მთავრობის სახლის წინ 4 აპრილს დაწყებული აქცია მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და უნდა დასრულებულიყო 14 აპრილს (პატიაშვილი, 2013:239). აქციის მონაწილეთა ძირითად მოთხოვნას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა. იმ დროს, როცა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ოფიციალურად იყო დაშვებული დემოკრატიზაცია, საჯაროობა, სიტყვის თავისუფლება (აბაშიძე, 2013:648-649) და 1988 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციების შემდეგ საბჭოთა კონსტიტუციაში აღდგენილ იქნა შესაბამისი მუხლი, რომელიც სსრ კავშირის შემადგენლობიდან ე. წ. მოკავშირე (სუვერენულ) რესპუბლიკებს თავისუფალი გასვლის შანსს აძლევდა (მოსიაშვილი, 2018:40-42), პარადოქსია უიარაღო, მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევაზე ფიქრი. მაგრამ დარბევაც არის და დარბევაც. სრულიად ბარბაროსული მეთოდებით: დღემდე საბოლოოდ დაუდგენელი მომწამლავი ქიმიური გაზების გაშვებით, ორლესული სასანგრე ხელბარებით მომიტინგეთა დაჩეხვით, ცეცხლსასროლი იარაღიდან ტყვიის სროლით მომიტინგეებისთვის და მათ შორის, მოშიმშილეებზე ფიზიკური ანგარიშსწორება, ყოველგვარ არაადამიანურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს (იმ დროისათვის, ჯერ კიდევ) საკუთარი მოქალაქეების მიმართ და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ცნობილია ისიც თუ როგორ ცდილობდა იმჟამინდელი ხელისუფლება მომხდარის დამალვას, მაგრამ არ გამოუვიდა. მართალი სიტყვა მივიდა საქართველოს თითოეულ მოსახლემდე და გასცდა, როგორც საქართველოს, ისე თვით სსრკ-ს საზღვრებსაც. მომხდარმა აღაშფოთა მთელი ცივილიზებული საზოგადოება და როგორც შემდგომში ნათლად წარმოჩინდა მომხდარმა დიდწილად შეუწყო ხელი, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დაჩქარებას, აგრეთვე სხვა ქვეყნების (როგორც საბჭოთა რესპუბლიკების, ისე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების) განთავისუფლების პროცესსაც.

სწორედ რეალური ფაქტების შესახებ ინფორმაციის გაჟონვის და გასაჯაროვების შემდეგ დაიწყო საბჭოთა ხელისუფლებამ მომხდარზე პასუხისმგებლობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებზე და შეკრებილ მომიტინგეებზე გადაბრალება (მოსიაშვილი, 2020:22-23). თავდაპირველად, მათ ოფიციოზის საშუალებით სცადეს მცდარი ინფორმაციის გავრცელება (კომუნისტი, 1989: №84), რამაც ვერ მოუტანათ სასურველი შედეგი. მათი შემდგომი ნაბიჯები კი ცხადყოფს, რომ გადაწყვიტეს მომხდარის ეროვნული ძალებისთვის მთლიანად გადაბრალებაზე ემუშავათ. ამას ცხადყოფენ სხვადასხვა ფაქტები. მაგალითად, ეროვნული ხსნის კომიტეტის სახელით ქართველი ხალხისადმი მიმართვაში ზვიად გამსახურდია თანამემამულეებს მოუწოდებს პოლიტიკური ბრძოლის მშვიდობიანი ფორმებით გაგრძელებისაკენ, რათა ახალი სისხლიანი პროვოკაციის მოწყობის საბაბი არ მიეცეს არსებულ ხელისუფლებას. მისი აზრით თვითგამოცემები, პეტიციები, გაფიცვები, მშვიდობიანი დემონსტრაციები, შიმშილობის აქციები და ა. შ. უფრო დიდ შედეგებს აღწევენ, ვიდრე შეიარაღებული გამოსვლები. ზვიად გამსახურდია მიმართვაში საუბრობს ხელისუფლების პროვოკაციულად (მათ შორის დივერსიის გზით) მცდელობის შესახებ _ ასე არაადამიანურად დარბეული მიტინგის მართლზომიერების მიზნით _ მომხდარი ქართველ ხალხს გადააბრალოს. ასე მაგალითად: ,,ამას წინათ ხაშურის მახლობლად, ტრასაზე ღამით ცეცხლი მოუკიდეს სამხედრო სატვირთო ავტომანქანას, შემდეგ აიძულეს ერთ-ერთი გზად მიმავალი ქართველი მძღოლი, ყალბი ჩვენებები მიეცა ვითომდაც ეს იყო შედეგი ქართველთა მხრივ თავდასხმისა, თუმც სიმართლე მალე გამოაშკარავდა და პროვოკაცია ჩაიშალა; ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სამხედრო კომისარიატში ,,უცხო პირებმა“ შეიტანეს ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც აგრეთვე დროზე იქნა მხილებული და უვნებელყოფილი; 5 დეკემბრის ქუჩაზე ამას წინათ, ასევე ,,უცხო პირებმა“

დაყარეს მომწამლავი სითხით სავსე ამპულები და სხვა.“ (ქართვლის დედა, 1989:160). მიმართვა სრულდება მოწოდებით თანამემამულეებისადმი, რომ გამოიჩინონ სიფრთხილე, რათა არ წამოეგონ პროვოკაციებს და ხელი შეუწყონ დაწყებული ეროვნული საქმის ბოლომდე მშვიდობიანად მიყვანას. აქ ჩნდება კითხვა: იქნებ ზვიად გამსახურდიას მიერ დასახელებული ფაქტები გადაჭარბებულია და არ შეეფერება სინამდვილეს? პასუხი აქ მარტივად შეიძლება მოვიძიოთ. კერძოდ, იმ პერიოდში სამხედროების (სწორედ ისინი იყვნენ შემჩნეული) მხრიდან იმდენად გახშირდა მსგავსი პროვოკაციების (მით უმეტეს, მომწამლავი ნივთიერებების გამოყენების) ფაქტები, რომ საქართველოს სსრ-ს ხელმძღვანელობაც ეძებდა გამოსავალს და სწორედ 1989 წლის მაისში, მანამდე უჩვეულო გადაწყვეტილება იქნა მიღებული _ ქ. თბილისის საშუალო სკოლებში დამამთავრებელი კლასების გარდა (გამოსაშვები გამოცდების გამო), დანარჩენი მოსწავლეები აკადემიური კალენდრის მიხედვით დადგენილ ვადაზე ადრე დაითხოვეს. საქმე იმაში იყო, რომ სხვადასხვა სკოლებსა და საბავშვო ბაღებშიც კი დაფიქსირდა დაუდგენელი ნივთიერებებით მოწამვლის ფაქტები. აქედან შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: აღნიშნული გადაწყვეტილება შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე იძულებით იქნა მიღებული. სხვა საფუძველი მსგავსი გადაწყვეტილების მიღების იმ დროისათვის პრაქტიკულად არ არსებობდა. რაც გვაფიქრებინებს ზემოხსენებული ფაქტების რეალურობაზე. მაგრამ ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე პასუხს თავად მიმართვის ავტორიც განმარტავს: ,,მას შემდეგ, რაც 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტის ინიციატორებს და შემსრულებლებს ნიღაბი აეხადათ მთელი კაცობრიობის წინაშე, ისინი ყოველნაირად ცდილობენ გაამართლონ თავიანთი შავ-ბნელი ბოროტმოქმედება“... (ქართვლის დედა, 1989:№2).

გარდა ზემოთ ნახსენები პროვოკაციების მოწყობის მცდელობებისა კიდევ რა ზომებს მიმართავდა დანაშაულში მხილებული მოსკოვის რეჟიმი? ამ საკითხის გასარკვევად დავაკვირდეთ ქ. ბათუმში მომხდარ შემდეგ ფაქტებს: 1. ,,9 აპრილს მშვიდობიანი მიტინგის მხეცურად დარბევამ სულის სიღრმემდე შესძრა ბათუმის საზოგადოება, იმავე დღეს ინტელიგენციის ერთი ჯგუფი შეიკრიბა ილია ჭავჭავაძის ძეგლთან (იგულისხმება ქ. ბათუმში) სამგლოვიარო მიტინგის ჩასატარებლად, მაგრამ მილიციის მუშაკებმა მათ ამის საშუალება არ მისცეს“... 2. 10 აპრილს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ეზოში გაიმართა დიდი მიტინგი. მასში მონაწილეობდნენ სტუდენტები, ლექტორ-მასწავლებლები, საზოგადოებრივ-კულტურული კლუბის ,,თვალსაზრისის“, ილია ჭავჭავაძის და ილია მართლის საზოგადოებათა და საერთოდ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ ჩაეშალათ მიტინგი და მოუწოდებდნენ სტუდენტებს შესულიყვნენ აუდიტორიებში, მაგრამ უშედეგოდ“... 3. მიტინგი ჩატარებულა 11 აპრილსაც. ,,მილიციამ ამ დღეებში გარკვეული დროით დააკავა რამდენიმე კაცი“... 4. ,,15 აპრილს ბათუმის ზოგიერთი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მოაწყვეს სამგლოვიარო მანიფესტაცია. ხულოდან ბათუმში სამგლოვიარო მიტინგის მოსაწყობად მიმავალ ავტობუსს შუახევში გზა გადაუკეტეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა“... (ივერია, 1989:№6). ახლა დავაკვირდეთ ზოგიერთ გარემოებას. ჩამოთვლილი ფაქტებიდან პირველ რიგში საყურადღებოა ერთი მომენტი, რომ მოვლენები ვითარდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და არა თბილისში. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათის მოქმედება ვრცელდებოდა ქ. თბილისში და არა აჭარაში. ამდენად, მოქალაქეებს და მათ შორის სკოლის მოსწავლეებს (რომელთა თანატოლებიც უმოწყალოდ იქნენ დახოცილი 9 აპრილს ჯალათების მიერ) რაიმე კანონსაწინააღმდეგო, ანტიკონსტიტუციური ქმედება არ ჩაუდენიათ. მათ თავისუფალი აზრის საჯაროდ გამოხატვის საშუალებას არსებული კანონმდებლობა აძლევდათ. მაშ რა იყო მიზეზი ხელის შეშლის? რატომ აპატიმრებდნენ აჭარის რეგიონში ადამიანებს საპროტესტო აქციებში მონაწილეობის გამო? პასუხი აქ უნდა

ვეძებოთ ისევდაისევ კომუნისტური რეჟიმის იმდროინდელ შეშინებულ, დამფრთხალ მდგომარეობაში. თვით ის ფაქტიც, რომ 4 აპრილს დაწყებული საპროტესტო აქციის 14 აპრილს დასრულების დაანონსების მიუხედავად, 9 აპრილს ჯალათების მიერ ასეთი სისხლიანი ანგარიშსწორება მოეწყო, გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას ნამდვილად იძლევა. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ 8 აპრილს სამხედრო ავიაციის თუ სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებას მოჰყვა მომიტინგეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა. მით უმეტეს, მანამდე ღამით ძირითადად მოშიმშილეები რჩებოდნენ ხოლმე მთავრობის სახლის კიბეებზე... როგორც ჩანს, მავანთ ერთი მხრივ ეროვნული ძალების და მათი მხარდამჭერების დაშინება-დათრგუნვის მიზანი ამოძრავებდათ და მეორე მხრივ, საზოგადოების საგრძნობი მხარდაჭერა დაწყებული ეროვნული მოძრაობისადმი აშინებდათ და ცდილობდნენ აღეკვეთათ ყოველგვარი მხარდაჭერის გამოვლინება, რადგან შედეგად არ მიეღოთ ზემოთ ხსენებული ისეთივე უკურეაქცია, როგორიც მოჰყვა 8 აპრილის დაშინების მცდელობას.

მაგრამ რა ხდებოდა საქართველოს სხვა რეგიონებში ამ დროს?! ამის გასარკვევად დავაკვირდეთ მაგალითად, წალენჯიხაში განვითარებულ მოვლენებს: ,,გლოვის დღე, 11 აპრილი (გვერდწითელი, 1990:8), წალენჯიხის ადგილობრივმა გაზეთმა არ აღნიშნა. მეტიც, მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სცადეს ხელი შეეშალათ წალენჯიხელი ახალგაზრდობისათვის _ უკანასკნელ გზაზე გაეცილებინათ დაღუპულები. სწორედ გლოვის დღეებში დაკეტეს წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიაც, რათა ახალგაზრდობას დაღუპულთათვის პანაშვიდი არ გადაეხადა. 11 აპრილს ჯვარის პირველ საშუალო სკოლასა და რუსულ საშუალო სკოლაში არ გამოუკიდებიათ სამგლოვიარო დროშა. ამიტომ, მოსწავლეებმა შავი ნაჭერი გააკრეს სკოლის კარზე. დირექციამ იგი სასწრაფოდ ჩამოახსნევინა და მოსწავლეებს გარიცხვით დაემუქრა. დირექციისა და პედაგოგთა ერთი ნაწილის ამ საქციელმა მოსწავლეთა აღშფოთება გამოიწვია, მათ ღამით სკოლის კარი შავად შეღებეს. სწორედ ამის შემდეგ იქნა გამოკიდებული შავბაფთიანი დროშა.“ (გვენეტაძე, 2011:71-72). აქ რა შეიძლება ითქვას დასახელებული ფაქტების შესაფასებლად?! 1. როცა გლოვის დღე ოფიციალურად იყო გამოცხადებული რა თქმა უნდა ადგილობრივ გაზეთს უნდა რაიმე ფორმით თავისი გამოხატულება დაეფიქსირებინა გამოცემულ ნომერში, მაგრამ იმდროინდელი საბჭოური ცენზურის პირობებში შესძლებელია გაზეთის რედაქციამ აზრის გამოხატვა ვერ გაბედა; 2. გამომცემლობების რედაქციებშიც და მით უმეტეს, თვითონ რედაქტორები როგორც წესი კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ ხოლმე და ეს არგუმენტიც გამოდგება ალბათ მათი პოზიციის ასახსნელად, ანუ მათი ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა დაღუპულთა მიმართ თანაგრძნობის გამოხატვა; 3. რაც შეეხება ეკლესიას, ისიც (ჯერ კიდევ) თავიდან ბოლომდე კონტროლდებოდა სუკ-ის მიერ და იმჯერადაც, სავარაუდოდ, მიღებული მითითებების შესრულება უწევდათ მის მსახურთ; 4. არ იყო სკოლის დირექტორთა (ან ზოგადად სკოლის ადმინისტრაციის) მოქმედების არეალიც თავისუფალი. ისინიც თუ თვითონ კომპარტიის წევრები არ იყვნენ, მკაცრი ზეწოლის პირობებში მაინც უწევდათ მუშაობა; დაბოლოს 5. საბჭოური იდეოლოგიის პირობებში გამოზრდილ თანამდებობის პირებს (თუნდაც სკოლის დირექტორების შემთხვევაში) შეიძლება მხოლოდ თავიანთი თანამდებობის დაკარგვის შიში უფრო ამოძრავებდათ, ვიდრე სურვილი ქვეყანაში დაწყებული ძვრების მხარდაჭერისა და ა. შ.

ახლა მომდევნო საკითხს მივაქციოთ ყურადღება. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა შორის იხსენიება ზურაბ ჭავჭავაძეც. მის მიერ პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ერთი პუბლიკაცია ვფიქრობ არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა. საქმე იმაშია, რომ თვით სათაურის უჩვეულო გამოხატულებაა თვალში საცემი _ ,,არაკომპეტენტურობა თუ...“ აღსანიშნავია, რომ წერილის შინაარსი მართლაც შეესაბამება მის უცნაურ სათაურს. ავტორი 9 აპრილის ტრაგედიის ირგვლივ

წერისას აღნიშნავს: ,,განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს ქიმიური იარაღის გამოყენება, რაც საერთაშორისო შეთანხმებით ომშიც კი აკრძალულია. ამ შემაძრწუნებელი ბოროტმოქმედების გამოსაძიებლად შეიქმნა სამთავრობო და საზოგადოებრივი კომისიები...“, ,,ხელისუფალთა მიერ უკვე დასახელებული ქლორაცეტოფენონისა და ე. წ. სიეს გაზს გარდა გამოყენებულ იქნა კიდევ სულ ცოტა ერთი ნივთიერება, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავდა ბისმუტს და გოგირდს...“ ამის შემდეგ ზ. ჭავჭავაძე გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის მთავარმა ტოქსიკოლოგმა კონკრეტული ანალიზის შედეგად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში მძიმე მეტალები მასში ვერ აღმოაჩინაო და ეს იმ დროს, როცა კვლევაში ჩართულმა გერმანელმა სპეციალისტებმა მძიმე მეტალის არსებობის შესახებ იმთავითვე მიანიშნესო. დაბოლოს სტატიის ავტორის გადმოგვცემს: აღნიშნული ინფორმაცია ჩვენს ტოქსიკოლოგებს აქვთ მიწვდილი და მიუხედავად ამისა, მძიმე მეტალებს მასში ,,ვერ ხედავენ?!“-ო. (ივერია, 1989:№7). აქ საქმე გვაქვს ისევ იმ სისტემასთან, რომლის წარმომადგენლების ნაწილსაც ზემოთ უკვე შევეხეთ. სისტემას იმიტომ უნდა გაესვას ხაზი, რომ სწორედაც მისი არსებობის პირობებში ფაქტობრივად ვერავინ შეძლებდა საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავებას და მათ შორის ვერც რესპუბლიკის მთავარი ტოქსიკოლოგი, რომ კომპარტიის ინტერესების გამტარებელი არ ყოფილიყო. შესაბამისად, მისი როგორც ხსენებული სისტემის ნაწილის ერთგვარ ვალდებულებას წარმოადგენდა სისტემისადმი, როგორც მორჩილება, ასევე მისი სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ზრუნვაც. ამდენად, ჩვენ მიერ დასმული შეკითხვისთვის უკვე ნაწილობრივ გვაქვს პასუხი გაცემული. თუმცა, არის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება, რაც უკავშირდება ე. წ. ანტიდოტს. 9 აპრილის აქციის დარბევისას მოიწამლნენ აქციის მონაწილენი, მილიციის მუშაკები და ა. შ. მაგრამ არ მოწამლულა არცერთი სამხედრო ჯალათი. ბუნებრივია ჩნდება კითხვა, რატომ?! როდესაც მათ უშუალოდ მოწამვლის მომენტში იმ ხალხთან ჰქონდათ შეხება, რომლებიც ნამდვილად მოიწამლნენ, დღემდე საბოლოოდ დაუდგენელი ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად. შესაბამისად ხომ მოიწამლებოდნენ აქციის დამრბევი პირებიც?! მაგრამ, როგორც ცნობილია, მსგავსი მომწამლავი საშუალებების შექმნისთნავე იქმნება ხოლმე შესაბამისი ანტიდოტიც, რომელიც მისახვედრია, რომ არსებობდა და გამოყენებულ იქნა მხოლოდ სამხედროების შემთხვევაში, ხოლო მისი გამჟღავნება არ აწყობდათ სადამსჯელო ექსპედიციის ორგანიზატორებს. მისი გამჟღავნება ხომ ჩადენილი სასტიკი დანაშაულის აღიარებას უდრიდა. ჩადენილი დანაშაულის აღიარება კი არასდროს ახასიათებდა საბჭოთა ხელისუფლებას.

როგორც ცნობილია, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ხელოვნურად პროვოცირებულ იქნა ე. წ. ეთნოკონფლიქტები. საინტერესოა, თუ რა ხდებოდა თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ასეთ რეგიონებში (მოსიაშვილი, 2020:7). 1989 წლის 25 მაისს ქ. ოჩამჩირის ილია ჭავჭავაძის სახელობის 1-ლი ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა 9 აპრილს დაღუპულთა სახელზე დამზადებული პატარა მემორიალური დაფა მიიტანეს და დადგეს სკოლის ეზოში. მათ მიზნად ჰქონიათ დასახული ამ გზით პატივის მიგება ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნისათვის. ამ თითქოს სრულიად უწყინარ გადაწყვეტილებას ისეთი ამბავი მოჰყვა, რომ ,,მეორე დღეს მთელი აფსუობა ფეხზე დადგა“. სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ ოჩამჩირის ქუჩებში ჯავშანტრანსპორტიორები გამოჩნდნენ. მემორიალური დაფა კი იძულების წესით იქნა სკოლის ეზოდან გატანილი. (ივერია, 1989:№8).

,,26 მაისს სოფელ ავნევიდან ცხინვალში დამოუკიდებლობის ზეიმზე მონაწილეობის მისაღებად მიმავალ ქართველებს ჩაუსაფრდა ხელკეტებით მომარჯვებული ოსების ჯგუფი, წაართვეს და დაუხიეს დროშები. ილია ჭავჭავაძის პორტრეტი ლაფში ჩააგდეს და ფეხით გადათელეს.“ (ქართვლის დედა, 1989:№2). აქ შევჩერდეთ, რადგან მსგავსი ხასიათის ფაქტების დასახელება კიდევ მრავლად შეიძლება.

დავაკვირდეთ მოცემულობებს. პირველ შემთხვევაში აფხაზური მხარის გაღიზიანების მიზეზი გახდა 9 აპრილის ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის განთავსება სკოლის ეზოში, რაც მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებდა და წარმოუდგენელია აქ ჩვენ რაიმე საბაბი მოვძებნოთ აფხაზების მიმართ შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი, ან მათი ინტერესების საწინააღმდეგო. ერთადერთი რაც შეიძლება აღინიშნოს არის ის, რომ მათ რიგებში უკვე წაქეზებული და ხელშეწყობილი იყო სეპარატიზმი, მიმდინარეობდა ურთიერთდაპირისპირების პროვოცირება აფხაზებსა და ქართველებს შორის, რაც ოდნავ მოგვიანებით კიდეც გადაიზარდა სისხლისღვრაში. ქართული მხარის ინტერესში არანაირად არ შედიოდა აფხაზებთან ნებისმიერი ფორმით დაპირისპირება. საქმე იმაშია, რომ როგორც ზემოთ თვით ზვიად გამსახურდიას მიმართვიდან დავინახეთ, მშვიდობიანი ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს ალტერნატივა არ გააჩნდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე. მაგრამ ქართულ მხარეში არ იგულისხმება კომუნისტური მმართველობის წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერები. ისინი, როგორც ირკვევა, პირიქით იყვნენ დაინტერესებულნი მდგომარეობის დაძაბვით. მათი გათვლა მიმართული იყო რესპუბლიკის მასშტაბით სხვადასხვა დაძაბულობის და დაპირისპირების კერების შექმნისკენ, რადგან მათ მიერ 9 აპრილს ჩადენილი უმძიმესი დანაშაული გადაფარულიყო სხვა უფრო დიდი ტრაგედიებით, მომხდარში ყველგან დაედანაშაულებინათ ეროვნული ძალები და მოეხდინათ მათი დისკრედიტაცია. ასევე, გამოცხადებულიყო საგანგებო მდგომარეობა და თბილისის მსგავსად მრავალ ადგილას ამოქმედებულიყო კომენდანტის საათი, რაც ხელ-ფეხს შეუკრავდა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ასე შეეცდებოდნენ რუსული საბჭოთა იმპერიის დაშლისაგან გადარჩენას.

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონის ინციდენტს, აქაც იგრძნობა კრემლის ხელწერა. წმინდა წყლის პროვოკაციასთან გვაქვს საქმე. სხვაგვარად რა უნდა ყოფილიყო ოსი ეროვნების მოქალაქეთა მხრიდან ასეთი ქმედების მიზეზი?! ქართველებსა და ოსებს ხანგრძლივი თანაცხოვრების შემდეგ რა უნდა ჰქონოდათ ერთმანეთთან დასაპირისპირებელი?! რა თქმა უნდა არაფერი გარდა ერთისა, რაზედაც ზემოთაც გვქონდა საუბარი. მით უმეტეს, რომ რა უნდა დაეშავებინა მათთვის ქართველთა სულიერ მამას, უგვირგვინო მეფეს, წმინდანად შერაცხულ ილია ჭავჭავაძეს, რომლის პორტრეტიც ასე შეურაცხყვეს?!

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

აბაშიძე, ზ. ბახტაძე, მ. ჯანელიძე, ო. (2013). *საქართველო და ქართველები.* თბილისი: ფავორიტი პრინტი.

გაზეთი: ,,*კომუნისტი*“, (1989). №84.

გაზეთი: *,,ქართვლის დედა“,* (1989). №2.

გაზეთი: ,,*ივერია“,* (1989). №6.

გაზეთი: ,,*ივერია“,* (1989). №7.

გაზეთი: ,,*ივერია“,* (1989). №8.

გვენეტაძე, ე. კალანდია, ზ. (2011). *საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990).* ტ. I. თბილისი: მერიდიანი.

გვერდწითელი, გ. (1990). *9 აპრილი.* თბილისი: მერანი.

გოცირიძე, ი. (1990). *სიმართლის კვალდაკვალ.* თბილისი: საქართველო.

მოსიაშვილი, ა. (2020). *საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებანი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ 1988-1990 წლებში.* თბილისი: წიგნი+ერი.

მოსიაშვილი, ა. (2020). *ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების ასპექტები თანამედროვე ეპოქაში.* თბილისი: წიგნი+ერი.

მოსიაშვილი, ა. (2018). 1988 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციები საქართველოში და მათი მნიშვნელობა. *იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული* №1 (31). თბილისი: უნივერსალი.

პატიაშვილი, ჯ. (2013). *ოცდასამი წლის შემდეგ.* თბილისი: პალიტრა L.

REFERENCES

abashidze, z. bakht'adze, m. janelidze, o. (2013). *sakartvelo da kartvelebi. [Georgia and Georgians].* tbilisi: pavorit'i p'rint'i.

gazeti: *,,k'omunist'i",* Newspaper: *[,,Communist"].* (1989). №84.

gazeti: *,,kartvlis deda",* Newspaper: *[,,Georgian Mother"].* (1989). №2.

gazeti: *,,iveria",* Newspaper: *[,,Iveria"].* (1989). №6.

gazeti: *,,iveria",* Newspaper: *[,,Iveria"].* (1989). №7.

gazeti: *,,iveria",* Newspaper: *[,,Iveria"].* (1989). №8.

gvenet'adze, e. k'alandia, z. (2011). *sakartvelos uakhlesi ist'oriis dok'ument'uri masalebi (1988-1990). [Documentary materials of the recent history of Georgia (1988-1990)].* I. tbilisi: meridiani.

gverdts'iteli, g. (1990*). 9 ap'rili. [9 April].* tbilisi: merani.

gotsiridze, i. (1990). *simartlis k'valdak'val. [In the footsteps of the truth].* tbilisi: sakartvelo.

mosiashvili, a. (2020). *sabch'ota khelisuplebis mokmedebani kartuli erovnul-ganmatavisuplebeli modzraobis ts'inaaghmdeg 1988-1990 ts'lebshi. [Actions of the Soviet government against the Georgian National Liberation Movement in 1988-1990].* tbilisi: ts'igni+eri.

mosiashvili, a. (2020). *kartul-azerbaijanuli urtiertobebis asp'ekt'ebi tanamedrove ep'okashi. [Aspects of Georgian-Azerbaijani relations in the modern era].* tbilisi: ts'igni+eri.

mosiashvili, a. (2018). 1988 ts'lis noembris sap'rot'est'o aktsiebi sakartveloshi da mati mnishvneloba. [November 1988 protests in Georgia and their significance]. *iak'ob gogebashvilis sakhelobis telavis sakhelmts'ipo universiot'et'is sametsniero shromebis k'rebuli* №1 (31). tbilisi: universali.

p'at'iashvili, j. (2013). *otsdasami ts'lis shemdeg. [Twenty-three years later].* tbilisi: p'alit'ra L.